

## **„დეკანდელი ჯაზი გუშინდელი ფილმებისთვის“**

პატარა კამერული ანსამბლი დიდი ეკრანების გვერდით: ჯგუფი „Küspert & Kollegen“ კლასიკური საშინელებათა ფილმის ატმოსფეროს ისევე შეიგრძნობს და ქმნის, როგორც კომედიისა და მელოდრამის. ანსამბლის წევრი და გიტარისტი ვერნერ კიუსპერტი 2018 წელს პუბლიკას შემდეგი ფრაზით მიმართავს: „ჩვენი მუსიკა არ არის ტრადიციული მუნჯი ფილმის მუსიკა. ის თანამედროვე და არა შაბლონურია.“

ჯგუფის წევრები წარმოადგენენ საერთაშორისო დონის და კინოს სფეროში გამოცდილ მუსიკოსებს, რომლებიც მაღალ საშემსრულებლო დონეს ფილმის სპეციფიკურ შეგრძნებასთან აკავშირებენ. ვერნერ კიუსპერტი ჯგუფისათვის ჯაზის კომპოზიციებს წერს, რომლებიც თავიანთი სისრულით გამოირჩევიან. ანსამბლს ასევე ახასიათებს თავისუფალი იმპროვიზაციები.

ჯგუფი „Küspert & Kollegen“ დაარსების დღიდანვე კინოხელოვნების სფეროში მუშაობს და საერთაშორისო დონეზე მოღვაწეობს. ანსამბლში შედიან „Echo“-ს პრიზით დაჯილდოებული, დასარტყამი ინსტრუმენტის პროფესიონალი ბასტიან იუტე, ევროპაში ერთ-ერთი სახელგანთქმული კონტრაბასისტი დიტმარ ფური, საქსოფონისტი და კლარნეტისტი ტილ მარტინი (აღებული აქვს არაერთი პრიზი, მათ შორისაა „Bayerischer Kunstförderpreis“, „Preis der deutschen Schallplattenkritik“) და ანსამბლის ხელმძღვანელი, კომპოზიტორი და გიტარისტი ვერნერ კიუსპერტი.